დანართი

ახალ კორონავირუსთან დაკავშირებით პრევენციულ ღონისძიებათა განხორციელების წესი

პრეამბულა

ეს წესი არეგულირებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ახალ კორონავირუსთან დაკავშირებით განსახორციელებელ პრევენციულ ღონისძიებებს და მისი მოქმედება ვრცელდება საქართველოს საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კულტურულ და სპორტულ დაწესებულებებზე/ორგანიზაციებზე, მათ ადმინისტრაციაზე, სხვა თანამშრომლებზე, სტუდენტებზე, მოსწავლეებზე და მათ მშობლებზე/კანონიერ წარმომადგენლებზე.

მუხლი 1.

საქართველოს ტერიტორიაზე ახალი კორონავირუსის პრევენციის მიზნით საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კულტურულ და სპორტულ დაწესებულებებში/ორგანიზაციების (შემდგომში - დაწესებულებები) ადმინისტრაციებს, სხვა თანამშრომლებს, სტუდენტებს, მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს მიეცეთ შემდეგი რეკომენდაციები:

ა) მაქსიმალურად დაიცვან სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები (დაიმუშაონ/დაიბანონ ხელები, გამოიყენონ პირბადეები);

ბ) დაწესებულებებმა პერიოდულად განხორციელონ შენობების დეზინფექცია, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად;

გ) დაავადების სიმპტომების დაწესებულების ტერიტორიაზე გამოვლენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მოხდეს პირის იზოლაცია, განხორციელდეს შეტყობინება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (შემდგომში - დაავადებათა კონტროლის ცენტრის) ცხელ ხაზზე, ასევე, ეცნობოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (სკოლის შემთხვევაში - აღნიშნული სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - საგანმანათლებლო რესურსცენტრის (შემდგომში - რესურსცენტრი) მეშვეობით; სხვა დაწესებულებების შემთხვევაში - ამავე სამინისტროს ცხელ ხაზს);

დ) დაავადების სიმპტომების დაწესებულების ტერიტორიის გარეთ გამოვლენის/აღმოჩენის შემთხვევაში, პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ განახორციელოს თვითიზოლაცია (დარჩეს თვითიზოლაციის ადგილას/სახლში), აღნიშნულის თაობაზე შეატყობინოს დაავადებათა კონტროლის ცენტრის ცხელ ხაზს, ასევე დაწესებულების ადმინისტრაციას და დაელოდოს შესაბამის ინსტრუქციებს;

ე) დაავადებათა კონტროლის ცენტრის მხრიდან, დაწესებულების ტერიტორიაზე ახალი კორონავირუსის აღმოჩენის/გამოვლენის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, სკოლის ადმინისტრაცია, რესურსცენტრთან შეთანხმებით, დაწესებულების ტერიტორიაზე აცხადებს კარანტინს და ახორციელებს დაავადებულთან უშუალო კონტაქტში მყოფი პირების და დაწესებულების თანამშრომელთა იდენტიფიცირებას/იზოლაციას გაცემული ინსტრუქციის

შესაბამისად, ხოლო სხვა დაწესებულებები კარანტინის გამოცხადების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებენ ავტონომიურობის პრინციპის გათვალისწინებით და მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობებენ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს.

მუხლი 2.

აღნიშნული პროცესების ეფექტურად მართვისა და გადაწყვეტილების სწრაფად მიღების მიზნით, შეიქმნას შიდაუწყებრივი სამუშაო ჯგუფი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის, მინისტრის პირველი მოადგილის, მინისტრის მოადგილეებისა და სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების შემადგენლობით.

მუხლი 3.

დაევალოს:

ა) სკოლების ადმინისტრაციებს - ახალ კორონავირუსთან დაკავშირებით მოსწავლის მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირება და საჭიროების შემთხვევაში საინფორმაციო შეხვედრების უზრუნველყოფა;

ბ) რესურსცენტრებს, პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს - დაწესებულებებში საჭიროებების გამოვლენა/განსაზღვრა და აღნიშნულის თაობაზე, სამინისტროს დაუყოვნებლივ ინფორმირება;

გ) ეკონომიკურ დეპარტამენტს - ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციიის მიზნით სადეზინფექციო და სხვა საჭირო საშუალებების შესაძენად საჭირო თანხების მობილიზება და შეძენილი საშუალებების საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის მიწოდება, საჭიროების/მოთხოვნის შესაბამისად;

დ) სამინისტროს ადმინისტრაციას (დეპარტამენტს) - ზემოაღნიშნული ღონისძიებების კოორდინირება.